

## სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური

### საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნების

#### ანგარიში

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი, რომლის პერიოდშიც სამსახურის 10 თანამშრომელი აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესების მონიტორინგში.

2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას იღებდა 23 კანდიდატი, საიდანაც 10 წარმოდგენდა პოლიტიკურ პარტიას, ხოლო 13 საინიციატივო ჯგუფს. აღნიშნულ პირებს 01 ივლისიდან მოყოლებული გააჩნდათ ვალდებულება 3 კვირაში ერთხელ წინასწარ გაწერილი გრაფიკით წარმოედგინათ დეკლარაცია. გარდა ამისა 3 საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტმა შეასრულა კენჭისყრის დღიდან 18 დღეში დეკლარაციის წარმოდგენის ვალდებულება, ხოლო სხვა დანარჩენი სუბიექტების მიერ საარჩევნო პერიოდის ფინანსური ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულების ვადა ამოიწურა 12 დეკემბერს.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა საარჩევნო პერიოდში მიიღო 605 წერილი, ხოლო სამსახურიდან გაიგზავნა 408 წერილი. ყველა აღნიშნულ კორესპონდენციას მოჰყვა კანონშესაბამისი რეაგირება.

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ივლისის თვეში ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა და პრეზენტაცია საარჩევნო სუბიექტებისათვის. აღნიშნულის შედეგად საარჩევნო პროცესის რეგულირებისა და გამჭვირვალებისთვის მომზადდა გენერალური აუდიტორის 22.07.2013 წლის N147/37 ბრძანება „საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის არჩევნებისათვის საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ თითოეულ საარჩევნო სუბიექტს.

გარდა აღნიშნული ახალი ნორმებისა საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებს განცხადების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარდგენისთანავე წერილობით ეგზავნებოდათ დეტალური ინფორმაცია მოქმედი რეგულაციებისა და საარჩევნო კამპანიის ფარგლებში განსახორციელებელი სხვადასხვა ქმედებების შესახებ. ამასთან, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურად იმართებოდა ინდივიდუალური შეხვედრები და სატელეფონო კონსულტაციები, რომელზეც განიხილებოდა ნებისმიერი ფინანსური თუ საპროცედურო საკითხი.

2013 წლის 29 ივლისის ორგანული კანონით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით სამსახურის ინიციატივით გენერალური აუდიტორის „პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების

გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ფინანსური ანგარიშის ფორმებისა და მათი შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 17 აგვისტოს №142/37 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები (29.08.2013 წლის N177/37 ბრძანება) და დამტკიცებულ იქნა ახალი ფორმები იურიდიული პირების მიერ განხორციელებული შემოწირულობების დეკლარირების მიზნით. აღნიშნულის განხორციელებაში გათვალისწინებულ იქნა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე პოლიტიკური სუბიექტების რეკომენდაციები.

2013 წლის 15-18 ოქტომბერს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ორგანიზებით მონიტორინგის სამსახურის ფუნქციონირებას აკვირდებოდა საერთაშორისო ექსპერტი ლიზა კლეინი, რომელმაც ჩაატარა კონსულტაციები და მოამზადა რეკომენდაციები მონიტორინგის პროცესისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესების მიზნით.

პოლიტიკური ფინანსების მეტი გამჭვირვალობის მიზნით სრული საარჩევნო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ფუნქციონირებდა სამსახურის ცხელი ხაზი, რომელზეც შემოსულია 100-მდე შეკითვა და ყველა დაინტერესებულ პირს ამომწურავი პასუხი აქვთ მიღებული. სამსახური შიდა ბაზების საშუალებით აღრიცხავს შემოსული შეკითვების სტატისტიკას. ასევე დასრულდა მუშაობა ავტომოპასუხის დაყენებაზე, რომელიც შეკითვების დატოვების საშუალებას გვაძლევს 24 საათის განმავლობაში, რათა არცერთი შეკითვა არ დარჩეს პასუხგაუცემელი.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამურად განხორციელებულია 10 930 557 ლარის ხარჯი, კერძოდ:

1. "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" – 3 222 514 ლარი
2. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 2 523 147 ლარი
3. "დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო" – 2 469 183 ლარი
4. "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" – 677 997 ლარი
5. "საქართველოს ევროპელი დემოკრატები" – 551 829 ლარი

საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ ჯამში მიღებულია 11 172 562 ლარის შემოსავალი, კერძოდ:

1. ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა) – 2 545 062 ლარი
2. გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება) – 3 624 287 ლარი
3. დავით ბაქრაძე (ნაციონალური მოძრაობა) – 1 748 395 ლარი
4. ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები) – 685 294 ლარი
5. გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა) – 637 667 ლარი

საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოწირულობების სახით ჯამში მიღებულია 5 211 470 ლარი, კერძოდ:

1. ნინო ბურჯანაძე (დემოკრატიული მოძრაობა) – 2 619 869 ლარი
2. გიორგი მარგველაშვილი (ქართული ოცნება) – 2 028 733 ლარი
3. დავით ბაქრაძე (ნაციონალური მოძრაობა) – 414 993 ლარი
4. ზურაბ ხარატიშვილი (ევროპელი დემოკრატები) – 57 460 ლარი
5. ნესტან კირთაძე (საინიციატივო ჯგუფი) – 55 353 ლარი

საპრეზიდენტოს არჩევნების პერიოდში სამსახურმა შეისწავლა რამოდენიმე საქმე, რომლიდანაც შეადგინა 14 სამართალდარღვევის ოქმი, საიდანაც სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნა 11 პოლიტიკური პარტია, 1 საქმე გამოთხოვილ იქნა სამსახურის მიერ, სასამართლო პროცესზე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო, 1 ოქმი განხილვის პროცესშია, ხოლო 1 საკითხი გადაწყვეტილ იქნა სამსახურის საწინააღმდეგოდ. აქნიშნული საქმეები შეეხებოდა ინფორმაციების წარმოდგენის ვალდებულების დარღვევებსა და შემოწირულებების დამალვის ფაქტებს, რომლებზეც გამოყენებულ იქნა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სანქციები, კერძოდ:

| N  | პირის დასახელება                         | შინაარსი   | ჯარიმის ოდენობა (ლარი) |
|----|--|--|------------------------|
| 1  | მომრაობა სამართლიანი საქართველოსათვის    | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამივლინებო ხარჯი ნაღდი ანგარიშსწორ.)                     | 2000                   |
| 2  | საქართველოს ევროპელი დემოკრატები         | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამივლინებო ხარჯი ნაღდი ანგარიშსწორ.)                     | 2000                   |
| 3  | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს        | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამივლინებო ხარჯი ნაღდი ანგარიშსწორ.)                     | 2000                   |
| 4  | საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია   | მიღებული საწევროს შესახებ ინფორმაციის წარმოუდგენლობა   | 5000                   |
| 5  | ახალი მემარჯვენეები                      | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამივლინებო ხარჯი ნაღდი ანგარიშსწორ.)                     | 2000                   |
| 6  | დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო | შემოწირულების დამალვა  | 64636.86               |
| 7  | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა             | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (რეკლამის შესახ. ინფორ. წარმოუდგენლობა)                    | 2000                   |
| 8  | ნესტან კირთაძე                           | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (საარჩევნო პერ. დეკლარაციის წარმოუდგენლობა)                | 1000                   |
| 9  | ნესტან კირთაძე                           | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (ნაღდი ანგარიშსწორ.)                                       | 1000                   |
| 10 | ქართლოს ღარიბაშვილი                      | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამკვირიანი და საარჩევნო პერიოდის დეკლარ. წარმოუდგენლობა) | 1000                   |
| 11 | მამუკა მელიქიშვილი                       | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამკვირიანი და საარჩევნო პერიოდის დეკლარ. წარმოუდგენლობა) | 1000                   |
| 12 | ხალხის პარტია                            | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამკვირიანი დეკლარაციის წარმოუდგენლობა)                   | 0                      |
| 13 | მიხეილ (გელა) სალუაშვილი                 | მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობა (სამკვირიანი დეკლარაციის წარმოუდგენლობა)                   | 0                      |
| 14 | ნინო ჭანიშვილი                           | აკრძალული შემოწირულებების განხორციელება (შემოწირულება მესამე პირის საშუალებით)                 | 9290+4645              |